კულტურისა და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა

სახელობითი სტიპენდიები

ალექსანდრე შერვაშიძის, დიმიტრი ჯაიანისა და გურამ ყურაშვილის სახელობის სტიპენდიები გამიზნულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აფხაზეთიდან დევნილი, ხელოვნების სფეროში გამორჩეული ნიჭისა და მიღწევების მქონე სტუდენტებისთვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სახელოვნებო საქმიანობაში.

სტიპენდია წესდება 9 (ცხრა) სტუდენტისთვის, თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით. სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში (10 თვე).

ალექსანდრე შერვაშიძის სახელობის სტიპენდია ენიჭება სახვითი ხელოვნების, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, დიზაინისა და მედიახელოვნების მიმართულების განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით გამორჩეულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

დიმიტრი ჯაიანის სახელობის სტიპენდია ენიჭება თეატრისა და კინოს მიმართულებით განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით გამორჩეულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

გურამ ყურაშვილის სახელობის სტიპენდია ენიჭება საშემსრულებლო, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის მიმართულებით განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით გამორჩეულ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

კანდიდატების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მიერ წარმოადგენილი სხვადასხვა ფესტივალში, კონკურსში, ვორქშოფში, გამოფენაში, სპექტაკლში, კინოპროექტში, მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ თუ სხვა კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შექმნილი ან შესრულებული მაღალი მხატვრული ღირებულების ნამუშევრები, მათ შორის: ფერწერა და სხვა ვიზუალური ხელოვნება, სამსახიობო შესრულება თეატრსა და კინოში, ქორეოგრაფიული დადგმები, ვოკალური და მუსიკალური შესრულება, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მიღწევები და მიღებული ჯილდოები.

თანაბარი შემოქმედებითი მიღწევების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება შემოსული განაცხადების საფუძველზე, რეიტინგული სიის მიხედვით უფრო მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს.

სტიპენდიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) პირადობისა და აფხაზეთიდან დროებით იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობის ასლი ან პირადობის ნეიტრალური მოწმობის ასლი;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების წარდგინება, რომლითაც ის მიმართავს კომისიას კონკურსანტის კონკრეტული სახელობითი (ალექსანდრე შერვაშიძე, დიმიტრი ჯაიანი, გურამ ყურაშვილი) სტიპენდიის მინიჭების თაობაზე;
გ) გასული სასწავლო წლის სტუდენტის სასწავლო ბარათი (აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობა/ტრანსკრიპტი);
დ)ფესტივალებში, კონკურსებში, ვოქშოფებსა და სხვადასხვა სახელოვნებო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიული დადგმების, ვოკალური და მუსიკალური შესრულების ჩანაწერები/ამონარიდი, დიპლომები, ჯილდოები ან/და ნებისმიერი სახის ინფორმაცია /დოკუმენტაცია ან სხვა მასალა, რომელიც წარმოაჩენს განმცხადებლის უნარებსა და შესაძლებლობებს სახელოვნებო/შემოქმედებითი მიმართულებით.

განცხადებები მიიღება **30 ივლისიდან 15 სექტემბრის** ჩათვლით მატერიალურად სამინისტროში (დ. უზნაძის ქ. #68) ან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ელექტრონული პორტალის მეშვეობით https://portal.abkhazia.gov.ge; საკონტაქტო ტელ: 577 34 85 34